

გრიპი A (H1N1) - განახლება 27

2009 წლის 13 მაისი – გრინვიჩის დროით 06:00 საათისთვის ოცდაცამემა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 5728 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 2059 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 56 გარდაცვალებით. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 3009 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, სამი გარდაცვალებით. კანადამ – 330 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით და კოსტა რიკამ 8 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: არგენტინა (1), ავსტრალია (1), ავსტრია (1), ბრაზილია (8), ჩინეთი, (3, მ.შ. 1 ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული და 2 კონტინენტური ჩინეთი), კოლუმბია (6), კუბა (1), დანია (1), სალვადორი (4), ფინეთი (2), საფრანგეთი (13), გერმანია (12), გვატემალა (3), ირლანდია (1), ისრაელი (7), იტალია (9), იაპონია (4), ჰოლანდია (3), ახალი ზელანდია (7), ნორვეგია (2), პანამა (29), პოლონეთი (1), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (3), ესპანეთი (98), შვეცია (2), შვეიცარია (1), ტაილანდი (2) და გაერთიანებული სამეფო (68).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსით გამოწვეული აფეთქების გამო.

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათ, ვისაც მოგზაურობის შემდეგ გამოუვლინდებათ დაავადება უნდა მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება. ესაა გონივრული ღონისძიება, რომელიც შეზღუდავს მრავალი გადაამდები დაავადების გავრცელებას, გრიპის ჩათვლით.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.